

რას გააკეთებდი შენს დაბადების დღეზე  
უცნაურსა და გამორჩეულს? აი,  
მაგალითად, კოსმოსში გასეირნებაზე  
რას იტყოდი?

მოემზადე აღმოჩენებისთვის, წაიკითხე  
ეს წიგნი და იმოგზაურე ასტრონავტ  
ჯულისთან ერთად საოცარ სამყაროში!



რიჩა ჯუჟა

## ჯული კოსმოსში



ილუსტრატორი: ლავანია კართიკი  
მთარგმნელი: ანა კოპალიანი

ხვალ ხომ ჩემი დღეობაა,  
დღე ნამდვილი გართობის!  
მინდა მთვარეც მილოცავდეს,  
მზეც და ყველა მნათობიც.





დილით ადრე მეღვიძება,  
თვალს ვახელ და რას ვხედავ:  
ჩემი სახლის ფანჯარასთან  
ჩამომდგარა რაკეტა.  
გახვეულა ცეცხლის ალში,  
მეც სავსე მაქვს ჩანთები,  
„ბუხ!“ - გუგუნით აიწევა,  
ასტრონავტი გავხდები!  
ჩემი კატა თრთის და ღელავს,  
დრო არც მე მაქვს მოწყენის,  
ერთი წუთიც, და ორივე  
დედამინას მოვწყდებით.



და სულ რაღაც ექვს საათში  
ვარსკვლავების ახლომახლო  
კოსმოსურ სადგურს მივაღწევთ:  
„სალამი, ახალო სახლო!“





„ჰოპ!“ - ნაბიჯის გადადგმაც ჭირს,  
დალლილობას ვეღარ ვმალავთ,  
მეც და კატაც უცაბედად  
ვტრიალდებით ყირამალა!  
მერე ვიწყებთ მსუბუქ ლივლივს,  
მარჯვნივ-მარცხნივ ვეხლებით,  
ხან ჰაერში დავფარფატებთ  
ანეული ფეხებით.



ვაი! ჩანთა აყირავდა,  
გადმოცვივდა ორი ქადა  
და რულეტიც შეხვეული  
ლუკმა-ლუკმა დაიფანტა.  
ყველგან ნაფხვენები მხვდება,  
ტკბილი წვენი სულს მიხუთავს,  
ამიტომაც ვამჯობინებ  
კოსმოსური საჭმლის ფუთას.





თმები სულ მთლად გამეწება  
ტანსაცმელიც ამეჩაჩა,  
ბანაობა არ მაწყენდა,  
მაგრამ შხაპი არსად არ ჩანს.

თქვენც გაგიმხელთ საიდუმლოს -  
კოსმოსში ვერ ნახავთ ონკანს,  
სისუფთავეს დანატრებულს  
მხოლოდ ჩემი კატა მლოკავს.



ბოლოს თმაზე ვისხამ შამპუნს,  
ვიზელ, ვიზელ გამალებით,  
აჟა! - ისევ დავიბრუნე,  
მოელვარე დალალები.



ძვირფასი დღის აღსანიშნად  
ასტრონავტის კოსტიუმს ვიცვამ,  
გამომყევით, მოვიაროთ  
ერთად უწონადო სივრცე.

გამოვდივარ ნაბიჯ-ნაბიჯ,  
ნელა-ნელა, ფრთხილი გულით,  
თან რაკეტის კედელზე ვარ  
საიმედოდ გამობმული.

კოსმოსის ცივ სიბნელეში  
ვარსკვლავები ახლოს მოჩანს,  
მთვარე თითქოს შემომლიმის:  
„ჯულ, ძვირფასო, მომილოცავს!“

დროა, უკან გამოვბრუნდე,  
შინისაკენ გზა მაქვს გრძელი,  
ვარსკვლავეთში სეირნობა  
კარგია, თან – დამქანცველიც.






ამ საძილე ტომარაში  
დავიძინებ ტკბილად, მჯერა,  
მახალისებს შიგ ჩაძრომა  
და ზედ ქამრის გადაჭერა.

დასაკარგი დრო სად არის,  
სწრაფად ვდგები, მეჩქარება,  
მაშინათვე ვიწმენდ კბილებს,  
კბილის პასტა მეყლაპება.




მინდა დავურეკო ამმის,  
ლეპტოპიც აქ მაქვს მიბმული,  
„რომელი ხარ?“ – ყვირის იგი,  
„მე ვარ, ასტრონავტი ჯული“.

მას ალვუწერ, რაც გადამხდა,  
რაც მარტყია ირგვლივ იმ წამს –  
როგორია სადგური და  
როგორ მოჩანს დედამიწა.



ორი თვეა უკვე აქ ვართ,  
მე და კატა მარტოდმარტო.  
მესმის, ქვემოთ ვიღაც ბავშვი  
მთვარეზე გაფრენას ნატრობს.

თუ ეს შენ ხარ, გაგვიმხილე,  
დაიჭირე თადარიგი,  
მე და კატა ხვალ ვბრუნდებით,  
მალე მოვა შენი რიგიც.




## იცოდით თუ არა?

არსებობს საპარო ხომალდები, რომლებსაც  
დედამიწიდან საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე  
მიაქვთ სპეციალურად შეფუთული საჭმელი და წყალი,  
ასევე ასტრონავტებისათვის კოსმოსში საცხოვრებლად  
საჭირო ყველა სხვა ნივთი. ჯულმა ძალიან მომჭირნედ  
უნდა მოიხმაროს წყალი კოსმოსურ სადგურზე. ყოველი  
წვეთი ძვირფასია.

ჯულიცა და ყველა სხვაც საერთაშორისო კოსმოსურ  
სადგურზე ბუშტებივით დაფრინავენ. ყველაფერი, რაც  
ღვედით არ არის დამაგრებული, ჰაერში ფართატებს,  
რადგან კოსმოსში სხეულები უნინადობას იძენენ. ეს  
იმიტომ ხდება, რომ თავად კოსმოსური სადგური, მთელი  
თავისი შიგთავსით, გამუდმებითა და დიდი სისწრაფით  
მიფრინავს დედამიწისაკენ, ისეთი სისწრაფით, რომ  
ჯული თავს უნინადოდ გრძნობს. კი, მაგრამ თუ სულ  
ძირს ეცემა, რატომ არ ენარცხება დედამიწას? იმიტომ  
რომ ჩვენი პლანეტა მრგვალია და თუმცა კოსმოსური  
სადგური მთელი თავისი შიგთავსით სულ ქვემოთ,  
ქვემოთ და ქვემოთ მოიწევს, დედამიწა ბრუნს აკეთებს  
და იგი ვერასოდეს ეცემა ძირს.

საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში ონკანები არ  
არის, რადგან უწონადო გარემოში წყალი ვერ წამოვა,  
სწორედ ამიტომ ჯული სპეციალურ შამპუნს ხმარობს,  
რომელსაც ჩამობანა არ სჭირდება; ასევე, ყლაპავს  
კბილის პასტას. შემთხვევით ჯულს მათარა ღია რომ  
დარჩეს, წვეთები მთელ კოსმოსურ სადგურს მოედება და  
წყლის ერთი დიდი ბურთის ფორმას მიიღებს.



კლასი: 2-3, ტექსტის ტიპი: ლექსი

USAID საბაზისო განათლების პროგრამის პატარა საკითხავების სერია

This book has been provided as part of the USAID Basic Education Program in Georgia. It has been adapted from the original story and translated into Georgian.

Original Title: "Gul in Space", Author: Richa Jha. Illustrator: Lavanya Karthik.

This book was made possible by Pratham Books' StoryWeaver platform. Some rights reserved. This book is CC-BY-4.0 licensed.